ხელშეკრულება N01-38/181

ქ. ბათუმი

25 დეკემბერი 2015 წელი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ერთის მხრივ სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო, უფროსის თემურ ყურშუბაძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შპს „კანცბუმი"-ს, დირექტორი ხვიჩა ანთაძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი" დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს საქონელის მოწოდებას დანართი 1-ის შესაბამისად (რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს), ხოლო „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს აღნიშნული საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

- CPV 22851000 – 350 ლ
- CPV 22852100 – 50 ლ
- CPV 39113100 – 430 ლ

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 830 (რვაას ოცდაათი) ლარს.

2. მომსახურების მიღება-ჩაბარება

2.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ დანართი 1 –ის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2. მიღება ჩაბარებას ახორციელებენ სათანადო უფლებამოსილი პირ(ებ)ი (მატერიალურ ტექნიკური სამსახურის სპეციალისტი ჯამლეთ ფაღავა), რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

3.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

3.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

3.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

3.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) %-ის ოდენობით.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში და უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარებში.

4.2. ანგარიშსწორება მოხდება მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 დღის ვადაში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა, ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და თანხის მიზნობრივად ხარჯვის კონტროლი.

8. სადაო საკითხების გადაწყვეტა

8.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

8.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია კანონით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

9. შეტყობინება

9.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხრივ, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

9.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენის დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ძალაში შედის ხელმოწერიდან და ძალაშია 2016 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია 3(სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. აქედან 1 ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, 2 ეგზემპლარი – შემსყიდველთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

მიმწოდებელი
შპს „კანცბუმი“
იურიდ.მის: ქ.ბათუმი.
ალმაშენებლის/ჭავჭავაძის კვ.
„პროკრედიტ ბანკი“
ბ/კ: MIBGGE22
ანგარიში: GE94PC0038400100000055
ს/კოდი 445468388

დირექტორი
ხვიჩა ანთაძე

“შემსყიდველი”

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო
მის: ქ.ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქ. 124
მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ანგარიშის N 740397499
მ/ბ სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
ს/კ 245631428

სააგენტოს უფროსი
თემურ ყურშუბაძე

დანართი 1
2015 წლის 25 დეკემბრის #01-38/181 ხელშეკრულებაზე

ინფორმაცია ფასების და მიწოდების გრაფიკის შესახებ

მოწოდებული საქონელი	ღაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	თანხა (ლარი)
სავარძელი	1	430	430
ბაინდერი	100	3,5	350
ფაილი	20	2,5	50
ს უ ლ			830 ლარი

სააგენტოს უფროსი

თემურ ყურშუბაძე

შპს „კანცბუმის“-ს დირექტორი

ხვიჩა ანთაძე